ფარმაცია(სააფთიაქო)

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ.საჩხერე, ივ.გომართელის ქ.50ა, 52.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში / Higher Vocational Qualification in Pharmacy.“

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება (12 კლასი);

მოცულობა და ხანგძლივობა: საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) მოიცავს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით, სწავლის ხანგძლივობა 20 სასწავლო თვე

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. *შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად;*
2. *დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა;*
3. *შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა;*
4. *განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე;*
5. *ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის შემომავალი, პერიოდული, საბოლოო კონტროლი;*
6. *განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება, შეფუთვა, მარკირება;*
7. *მოამზადოს რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი სამკურნალწამლო ფორმები;*
8. *გაითვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები;*
9. *განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;*
10. *განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია;*
11. *განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური სამკურნალწამლო ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად სამკურნალწამლო ფორმების დაფასოების შესახებ;*
12. *დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.*

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება: კვალიფიკაციის მინიჭების პირობაა სავალდებულო კრედიტის ათვისება და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება .

პროგრამის დასრულების შედეგ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული ორენოვანი დიპლომი დანართით.

პროგრამის მოდულები :

ზოგადი მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1	ინფორმაციული წიგნიერება 2	3
2	მეწარმეობა 3	3
3	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	5
	სულ	**11**
პროფესიული მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
4	სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში	3
5	სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია	3
6	სითხოვანი სამკურნალწამლო ფორმების მომზადება	5
7	მყარი და რბილი სამკურნალწამლო ფორმების მომზადება	5
8	მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება- შეფუთვა, მარკირება	2
9	პროდუქციის მიღება - განთავსება და ნაშთის პერიოდული კონტროლი	4
10	მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში	2
11	მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა	3
12	მომხმარებლისთვის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა	3
13	მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა	2

14	მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის საგნების/საშუალებების შერჩევა	2
15	ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები	4
16	მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები	6
17	ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები	5
18	ბიოქიმია	4
19	მიკრობიოლოგიის საფუძვლები	4
20	ფარმაკოლოგია	7
21	ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები	8
22	ანალიზური ქიმიის საფუძვლები	4
23	სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1	4
24	სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 2	6
25	ტოქსიური ნივთიერებების ბიოლოგიური მასალიდან იზოლირება და აღმოჩენა	5
26	ბოტანიკა	4
27	სამკურნალო მცენარეული და ცხოველური ნედლეული	7
28	სამედიცინო ფიზიკის საფუძვლები	4
29	პირველადი გადაუდებელი დახმარება	3
	სულ:	**109**